# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 2000 მან.

შაბათი, თებერვლის 18 1922 წ.


ეროვნული ბიბლიოთეკა


ყოველდღიური გაზეთი
ტრიბუნა
ორგანო შემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.
1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 45.000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 2000 მანეთი.
უფასოდ გაზეთი აღარავის გაეგზავნება.
ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან.
რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.



სიკვდილამდის მგლოვიარე უბედური მშობლები: სერაფიმა და ალექსანდრე ბეშკენაძეები აუწყებენ ნათესავებს და მეგობარ ნაცნობებს, რომ სამშობლოს სამსხვერპლოზე დაღუპულ მათი ერთად-ერთი იმედის
პავლიკოს
წლის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია მის საფლავზე ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკლესიის გალავანში კვირას, თებერვლის 19-ს. წირვა დაიწყება 10 საათზე პანაშვიდი 12 საათზე.
143


## გაერთიანებული პროლეტარული ფრონტი და რეფორმიზმი

1

კომუნისტური ინტერნაციონალის და წითელ პროფინტერნის აღმასრულებელმა კომიტეტებმა ახალი მოწოდებით მიმართეს საერთაშორისო პროლეტარიატს. ამ მოწოდების შინაარსი და მთელი ტაქტიკური გეგმა ახალ პერიოდს იწყებს ერთის შემდეგი მუშათა მოძრაობის ისტორიაში. მთლიანი პროლეტარული ფრონტის შექმნა თითქოს ახალი სიტყვა არის კომინტერნის მოღვაწეობაში. მაგრამ ლოზუნგი მუშათა გაერთიანებისა კაპიტალის წინააღმდეგ ისევე ძველი არის, როგორც ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შორის. მხოლოდ კომინტერნმა იგი ახლად წარმოაყენა, როგორც ტაქტიკური ხერხი კაპიტალისტებისა და გამყიდველ სოციალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ზევრამ მთლიანი რევოლიუციონური ფრონტის შექმნის საკითხი ისე გაიგეს, თითქოს კომინტერნმა მოხარა ქედი და მეორე, ორნახევარია და ამსტერდამის ყვითელ ინტერნაციონალებს მოუწოდებდეს ერთი გაერთიანებული ინტერნაციონალის გასამტკიცებლად. ცნობილი მარტოვი და მთელი პლეიადა ევროპის ყვითელ სოციალისტებისა კომინტერნის გაკოტრების შესახებ გაჰკივიან და გაერთიანებულ პროლეტარულ ფრონტის ლოზუნგში ხედავენ კომინტერნის, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესს. მაგრამ წამოყენებულ ტაქტიკურ საკითხის ამ გვარად გაგება ძირითადად ეწინააღმდეგება იმ მოსაზრებებს, რომელიც კომინტერნმა ჩადვა ამ საკითხის გაგებაში. მთლიანი რევოლიუციონური ფრონტის შექმნის იდეა მიზანშეწონილად არის წამოყენებული და თანამედროვე მუშათა მოძრაობის ძირითად მოთხოვნილებიდან გამომდინარეობს. ვინც არ მიაქცევს არსებით ყურადღებას თანამედროვე მუშათა მოძრაობის ინტერესებს და არ გაითვალისწინებს იმ ობიექტიურ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ამ ბოლო ხანებში, ისათვის გაუგებარი დარჩება კომინტერნის მოწოდების აზრი და მისი პრაქტიკული ღირებულება.

ყვითელი ინტერნაციონალის გმირები ტყუილად გაჰყვირიან თითქოს ეს ტაქტიკური ამოცანა მათთან დასახლოვებლად იყოს წამოყენებული და თითქოს ამით კომინტერნმა პირველი ნაბიჯი გადადგა ინტერნაციონალების გაერთიანების შესახებ. წინააღმდეგ, მთლიანი პროლეტარული ფრონტის შექმნას სარჩულად უდევს ბრძოლის ახალი მეთოდის წამოყენება რენეგატ-სოციალისტების წინააღმდეგ. მუშათა მოძრაობის ერთი უმთავრესი მტერი არის ის ოპორტუნიზმი და რეფორმიზმი, რომელიც შხამივით სწამლავს ყოველგვარ რევოლიუციონურ შემოქმედებას. ევროპაში თუ მუშათა მოძრაობა დამარცხდა და პროლეტარიატმა ვერ შესძლო პოლიტიკური ძალა - უფლების ხელში ჩაგდება, ამაში უმთავრესი ბრალი და უმძიმესი დანაშაული სოციალ-დემოკრატიულ რეფორმიზმს მიუძღვის. რომ სოციალ-დემოკრატიის გაქნილი გმირები ევროპის კაპიტალისტებს არ დამარცხებოდნენ რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ევროპის მრავალ სახელმწიფოებში პოლიტიკური ძალა-უფლება და ბატონობა დღეს პროლეტარიატის ხელში იქნებოდა. რამდენად წინ წასწევდა ასეთი შესაძლებლობა რუსეთის მდგომარეობასა და საერთაშორისო რევოლიუციის მსვლელობის ტემპს, ეს ყველასათვის ნათელი და გარკვეულია. მაგრამ მეორე ინტერნაციონალის გმირებმა თავიდანვე არა მარტო დაარღვიეს მუშათა მთლიანი წრე, დაშალეს მისი ორგანიზაციები და [illegible] ენერგია, არამედ ევროპის იმპერიალისტებთან ერთად იარაღით ხელში ჩაახშვეს ყოველგვარი მუშათა რევოლიუციონური გამოსვლები. ცნობილ ნოსკეს ჯალათური პოლიტიკა საუცხოვო ილუსტრაციას წარმოადგენს რევოლიუციის რენეგატების მოღვაწეობისათვის. გერმანიაში სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დამოუკიდებლებთან ერთად პირწმინდად მისცა პოლიტიკური ძალა-უფლება პროლეტარიატის ხელ შეუხებლობისაგან ბურჟუაზიას და ყოველ რევოლიუციონურ გამოსვლას იარაღით ხელში ახშობდა კაპიტალისტების სასარგებლოდ. გერმანიის რევოლიუციის დამარცხების ისტორია, არის იმავე დროს გერმანელი მენშევიკების ღალატისა და ჯალათობის ისტორია. დღეს თუ გერმანიის ბურჟუაზია ბატონობს და სტინნეს—რატენაუ განაგებს გერმანიის საქმეებს, ამაში დიდი როლი და მთავარი დამსახურება მიუძღვით შეიდემანელების პარტიას. მაგრამ ეს თუ დამსახურება არის ბურჟუაზიის მიმართ, მოდელის მეორე მარსელზე მოღალატის საშინელი სახელწოდებით არის მონათლული გერმანიის რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიაში. შეიდემანელებმა გაამაგრეს და გაამტკიცეს კაპიტალისტების პოლიტიკური ბატონობა გერმანიაში. მაგრამ საერთაშორისო მენშევიზმის ღალატი მარტო გერმანიის მაგალითებით არ შეიძლება ამოიწუროს და ყოველი ქვეყნის პროლეტარიატს თავის რენეგატები ყავთ, რომელნიც სხვა და სხვა სახით, მაგრამ ერთი საერთო მიზნით მახვილს სცემდნენ პროლეტარიატის მოძრაობას ზურგით გადამწყვეტ მომენტებში. ეს მიზანი არის პოლიტიკური ძალა-უფლებისა და ეკონომიური ბატონობის კაპიტალისტების ხელში შენარჩუნება, ყველასათვის ცნობილი არის, მაგ. ინგლისის და იტალიის ყვითელი სოციალისტების მოღალატური მეთოდები. თუ გერმანიის მენშევიკებმა რევოლიუციის პროცესში შიგ გულში გაუყარეს პროლეტარიატს მახვილის ჩაცემა, ინგლისის მენშევიკები ჯერ გულამდი არ მისულან და მხოლოდ ზურგიდან აწარმოებენ რენეგატულს ოპერაციებს. მათი მთელი ცდა და მოღალატური მოღვაწეობა იქითკენ არის მიმართული, რომ როგორმე არ დაუშვას რევოლიუციონური მოძრაობა და პროლეტარიატი არ ჩაებას პრაქტიკულად კაპიტალთან ბრძოლაში. აქ გადამწყვეტ როლს გაქნილი დიპლომატია ასრულებს, რომლის სამოღვაწეო მარშრუტი გაბმული არის ლოიდ ჯორჯისა და მუშათა მადაროებს შორის, ჰენდერსონები, ტომასები, მაკდონალდები და სხვები საუცხოვოდ გაქნილნი არიან ინგლისის დიპლომატიურს ხრიკებში და ყოველ გადამწყვეტ მომენტის დროს, როცა მუშათა კლასი მოდის მოძრაობაში და ცდილობს ომი გამოუცხადოს კაპიტალის ბატონობას, გაქნილი დიპლომატი-სოციალისტები მოხერხებულის მანევრით არღვევენ მუშათა მთლიან ფრონტს და მუხლებზედ აჩოქებენ მუშებს ლონდონის სიტის წინაშე. ასე მოხდა 1921 წლის პირველ თვეებში, როცა მადაროებში მომუშავეთა უკმაყოფილებამ სტიქიური ხასიათი მიიღო და საერთო გაფიცვით ემუქრებოდა ინგლისის კაპიტალს. მაგრამ ტომასმა და ჰენდერსონმა კვლავ წამოაჩოქა მუშები ლოიდ ჯორჯის წინაშე და უმტკივნეულოდ, შესძლეს გაფიცვის შესაძლებლობის ლიკვიდაცია. ამით ყვითელმა სოციალისტებმა უდიდესი საფრთხით აამორეს ინგლისის კაპიტალის არსებობას, მაგრამ მასთანვე უდიდესი მახვილი ჩასცეს მუშათა მოძრაობას ინგლისსა და მთელს მსოფლიოში. ამ მიზეზის გამო არის უმთავრესად, რომ დღემდის ინგლისის მუშათა მოძრაობა ოპორტუნისტულს ჩარჩოში არის მომწყვდეული და ინგლისის პროლეტარიატმა ვერ მოგვცა ვერც ერთი ღირსშესანიშნავი რევოლიუცია. ინგლისის პროლეტარული მუშაობა ე. წ. მუშათა არისტოკრატიულს წრეებსა და რეფორმისტულს სოციალისტებს უპირავთ ხელში, რომელთათვის რევოლიუცია ისეთსავე საფრთხეს წარმოადგენს, როგორც ბურჟუაზიისათვის. სოციალისტური რევოლიუცია ძირშივე სპობს კაპიტალისტური წარმოებაზე აგებულს მის სოციალურს კეთილ დღეობას და რადგანაც გახდებიან მოღალატენი თავიანთ თავის. ერთი უდიდესი ამოცანა, რომელიც ინგლისის პროლეტარიატის წინაშე დგას, ეს არის რეფორმისტების დუმბახისაგან განთავისუფლების აუცილებლობა. ინგლისის მუშა ჯერ კიდევ ვერ მოვიდა ასეთს შეგნებამდე იმ გაქნილი-პოლიტიკის გამო, რომელსაც აწარმოებენ იქაური ყვითელი სოციალისტები ზურგიდან შემოვლის პოლიტიკის გზით. გერმანიის პროლეტარიატმა პირდაპირ დაინახა შეიდემანელების დამღუპავი პოლიტიკა, რომელსაც უკანასკნელი ბურჟუაზიასთან ერთად პირისპირ გულში სცემდა გამანადგურებელს მახვილს პროლეტარიულს მოძრაობას. ინგლისის პროლეტარიატი ზურგიდან მოვლის პოლიტიკის წყალობით, ჯერ კიდევ გამოურკვეველ მდგომარეობაში იმყოფება და ტომას-ჰენდერსონის ტკბილი პოლიტიკით ირთობს თავს. თუ დამღუპველი ნოსკეს პირდაპირი პოლიტიკა მუშათა მოძრაობის მიმართ, არა ნაკლები დამღუპველია ტომას ჰენდერსონის პოლიტიკაც საერთაშორისო რევოლიუციის სახომით. აქაც და იქაც რევოლიუციის მოღალატენი სხვა და სხვა გზებით ბურჟუაზიის სასარგებლო საქმეებს აკეთებენ: გერმანიაში მენშევიკებმა მრავალჯერ მოძრაობაში მოსული პროლეტარიატი დაამდუმეს და პოლიტიკური მთლიანობა ბურჟუაზიას გადასცეს, ინგლისში ასეთს მოძრაობისათვის გასაქანს არ აძლევენ დიპლომატიურის ხრიკებით მუშათა კლასს და პოლიტიკურს უფლებებს ხელუხლებლივ სტოვებენ ალბიონის გაუმაძღარ იმპერიალისტებს. რეფორმიზმი და ოპორტუნიზმი ერთნაირია ყველგან და ყოველს პირობებში. მათ ერთი ღმერთი ყავს ძლევამოსილი კაპიტალი და მის წინ მორჩილად იხრის ქედს, ყოველ მის ბრძანებას პირ წმინდად ასრულებს.

არა ნაკლებ საინტერესო არის იტალიის მაგალითი და იქაურ სოციალისტურ პარტიის ღალატი მუშათა მოძრაობის პროცესში.

1918—19—20 წლებში რევოლიუციონური მოძრაობის უდიდესი წლები არის ევროპის მუშათა მოძრაობაში. ამ პერიოდში შეიძრა ევროპის პროლეტარიატი, რუსეთის დიდმა რევოლიუციამ თავისი გავლენა იქონია იმპერიალისტურ ომისაგან შევიწროებულ მშრომელ მასებზე და ისიც შეეცადა პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას და საბჭოთა ფორმებში თავისი დიქტატურის განმტკიცებას. გერმანიისა და უნგრეთის პროლეტარულ მოძრაობის შემდეგ ევროპაში პირველი ადგილი იტალიას ეჭირა აუცილებლად და მუშათა კლასი იტალიისა დაუცხრომელის ენერგიით მიიწევდა ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობის დამხობისაკენ. საერთაშორისო მდგომარეობა და თვით იტალიის შინაური პირობები, სოციალურ კლასთა განწყობილება პროლეტარიატის გამარჯვების შესაძლებლობა დიდ შანსებს იძლეოდა. უკმაყოფილება დ რევოლიუციონური ენთუზიაზმი უდიდესი იყო იტალიის მუშათა წრეებში. ასეთს პირობებში იტალიის სოციალისტური პარტია თითქოს წინ მიუძღოდა პროლეტარიატს და ამზადებდა გადამწყვეტ ბრძოლისათვის. მაგრამ როდესაც ეს გადამწყვეტი მომენტი დადგა და 1920 წლის სექტემბრის რიცხვებში იტალიის პროლეტარიატმა მოინდომა რევოლიუციონური გზით პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში ჩაგდება, ზოგიერთს სამრეწველო ცენტრებიდან გამოდევნა ბურჟუაზია და ფაბრიკა-ქარხნები გადასცა შეიარაღებულ მუშებს, როდესაც სოფლის მშრომელმა წრეებმაც შესაფერისი გამოხმაურება ანალოგიური პროცესები განიცადა სოფლად, აი ამ გადამწყვეტ რევოლიუციონურ მომენტში იტალიის სოციალისტური პარტია მოხერხებულის მანევრით წინ გადაეღობა შემოფერხებულ ზღუდედ პროლეტარულ მოძრაობას და სასიკვდილო მახვილი ჩასცა მას. პროლეტარიატი დამარცხდა ამ ბრძოლაში სოციალისტურ პარტიის ღალატის გამო, განელდა მისი რევოლიუციონური ენთუზიაზმი და შეფერხდა მისი ორგანიზაციული სიმტკიცე. ამავე დროს პარალელურის პროცესით მოხდა გაძლიერება მოწინააღმდეგე კლასის ორგანიზაციისა ფაშისტების სახით, მთავრობამ მიიკრიფა ძალ-ღონე და პროლეტარულ მოძრაობას რეალური ძალა დაუპირდაპირა. იტალიის ცენტრისტებისა და რეფორმისტების მოღვაწეობამ, რომელიც მუშათა კლასის ღალატში გამოიხატება, თავისი შესაფერისი ნაყოფი გამოიღო და დღეს პროლეტარული მოძრაობა დიდათ შეფერხებულია იტალიაში. იტალიის მუშათა კლასმა რენეგატების ჯალათური მოქმედებით ხელიდან გაუშვა უძვირფასესი მომენტი და მუშათა კლასს სჭირდება დიდი ენერგიის დახარჯვა თავისი ორგანიზაციების აღდგენისა და რევოლიუციონური მოძრაობის მოწყობისათვის.

ანალოგიური მოვლენები განმეორდა 1920 წ. ჩეხო-სლოვაკიაში. აქაც რეფორმისტ-მენშევიკების ღალატმა ძირი გამოუთხარა მუშათა რევოლიუციონურ გამოსვლებს. არ დარჩენილა კაცობრიობის არც ერთი მხარე, სადაც მუშათა კლასმა ასე თუ ისე რეალური ფორმები მიიღო და ამოძრავდა, რომ მათთვის ამა თუ იმ სახით მახვილი არ ჩაეცეს რეფორმისტებს და არ დაერღვიოთ მუშათა მთლიანი რევოლიუციონური ფრონტი კაპიტალის წინააღმდეგ.

რას გვაუწყებენ ყველა ეს ისტორიული ფაქტები? როგორ ტაქტიკას უკარნახებს მუშათა კლასს რეფორმისტების ასეთი მოქმედება? ნუ თუ ამ ისტორიული მოვლენებისა და ღალატის შემდეგ კვლავ შესაძლებელი ხდება ყვითელ ინტერნაციონალის გმირებთან ერთად მთლიანი რევოლიუციონური ფრონტის გაჩაღება კაპიტალისტური ბატონობის წინააღმდეგ?

ხიმ. ხუნდაძე.

## გენუას კონფერენციისათვის

„პრავდა" საფრანგეთის ნოტის შესახებ.

მოსკოვი. 15 თებ. პუანკარეს უკანასკნელ ნოტას, რომელიც გაეგზავნა ინგლისის მთავრობას, დაუსახავს უთუოდ გენუას კონფერენციის ჩაშლა. ჩაშლის ერთ ერთი მოტივია პუანკარეს მოთხოვნა, რომ საბჭოთა მთავრობა ჯერ კიდევ კონფერენციამდი უნდა დასთანხმდეს კანის პირობებზე. ამის შესახებ „პრავდა" სწერს: „ასეთი მოთხოვნა კატეგორიულად უნდა უარყოფილი იქნეს. ერთი რამ უნდა იყოს—ან საბჭოთა რუსეთი სწორ უფლებიანი მხარეა მოლაპარაკების დროს, რომელმაც შეიძლება ეს უფლება თავის ბრწყინვალე გამარჯვებებით სამოქალაქო ომებში და რომელსაც შეუძლია წამოაყენოს საკმაოდ, მკვეთრი არგუმენტები ასეთი სწორ-უფლებიანობის სასარგებლოდ, ან ის არა სწორუფლებიანი კოლონიაა, რომელსაც უყენებენ განსაკუთრებულ მოთხოვნებს, რომ ევროპის კაპიტალისტებს ფიქრად მოუვიდეს საბჭოთა რუსეთის უფრო აბუჩად აგდება, ვიდრე ესტონეთის, ფინეთია ან მონაკოს სამეფოსი(?). გენუას კონფერენცია შეიძლება დაიწყოს საბჭოთა რუსეთის დაუსწრებლად, პუანკარეს ნოტა სხვა წინასწარ პირობებს შორის რუსეთის მიმართ აყენებს მოთხოვნას, რომ საბჭოთა რუსეთმა ან ძირიანად შესცვალოს თავისი შინაური კანონები კერძო საკუთრების უფლების საკითხში, ან დაუშვას უცხოელების მიმართ კაპიტულაციის რეჟიმი. რომ არაფერი ვსთქვათ იმის შესახებ, რომ ასეთი მოთხოვნები ძირიანად ეწინააღმდეგება კანის რეზოლიუციის იმ მუხლს, სადაც ნათქვამია სხვა სახელმწიფოების შინაურ საქმეებში ჩაურევლობის შესახებ,—საფრანგეთის იმპერიალიზმის ეს უტიფარი მოთხოვნა აყენებს საბჭოთა რუსეთს სულთანის ოსმალეთის მდგომარეობაში, რომელშიაც ბატონი ევროპიელები, არ ემშვიდობებოდნენ რა ოსმალეთის კანონებს და სცხოვრობენ რა ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ეს უკანასკნელი წარმოადგენს სახელმწიფოს სახელმწიფოში თუ ამ საკითხს დავაყენებთ ერთიერთ

ვალდებულებათა გსრულების სფეროში საქმეთა რომ პუანკარე დაეთანხმდეს იმ მდგომარეობას, რომლის ძალითაც საფრანგეთის კომივაიაჟორები, ბანკირები და მათი ლაქიები გასამართლებულ იქნენ რუსეთში საფრანგეთის კანონებით, და საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეები საფრანგეთში კი საბჭოთა რუსეთის კანონებით. ინგლისის მთავრობას ექნება მტკიცე საფუძველი უარყოს საფრანგეთის ბონაპარტისტების და რანტიეების ცდის ყველა მუხლები. თუ საფრანგეთი თავის ცდის ყველა მუხლების უარყოფის შემდეგ მაინც მოვა გენუის კონფერენციაზე მით უკეთესი ინგლისისათვის. თუ უარის შემდეგ ის კონფერენციას არ დაესწრება და დარჩება განცალკევებული ევროპისაგან, მით უარესი საფრანგეთისათვის.

**მცირე ანტანტა და გენუა.**

**ნაუენი.** 14 თებერ. პარიზში მივიდა ბენეში პუანკარესთან სათათბიროდ მცირე ანტანტის იმ პოზიციის შესახებ, რომელსაც იგი დაიჭერს გენუას კონფერენციაზე. პარიზიდან ბენეში გაემგზავრება ლონდონში

**ბორდო.** 14 თებერ. 22 თებერვალს ბელგრადში შეიკრიბება მცირე ანტანტის სახელმწიფოთა პრემიერების თათბირი გენუას კონფერენციაზე თავიანთ პოზიციის განსახილველად.

# საქართველოს დამშეულთა დასახმარებლად

## დადგენილება № 14.

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა—ხალხთა საქართველოში დამშეულთა დამხმარე კომიტეტის დაარსების შესახებ.**

რადგან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ზოგიერთი მაზრებში მოუსავლიობაა, რის გამოც მოსალოდნელია ამ მაზრების მოსახლეობის ნაწილობრივი დამშევა, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. მოწოდებულ იქნეს რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა საბჭოთა საქართველოში დამშეულთა ფართო დახმარებისათვის.

2. საბჭოთა საქართველოში დამშეულთა დახმარების საქმის წარსამართავად და ხელმძღვანელობისათვის საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტთან მოეწყოს „საბჭოთა საქართველოში დამშეულთა დამხმარე კომიტეტი".

3. საბჭოთა საქართველოში დამშეულთა დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნოს ამხ. ფ. მახარაძე, მის მოადგილედ—ამხ. სტურუა და კომიტეტის წევრებად: ა. ყრუაშვილი, თ. ღლონტი, ი. ნაკაშიძე, ა. სვანიძე და გ. ქიქოძე.

4. დამშეულთა დამხმარე კომიტეტი თავის მუშაობაში ანგარიშვალდებულია საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის წინაშე; მიქმედებს მისივე კონტროლით და პერიოდულად საინფორმაციო მოხსენებებს წარუდგენს საბჭოთა რუსეთის დამშეულთა დამხმარე კომიტეტს.

5. კომიტეტს უფლება აქვს საბჭოთა ყველა დაწესებულებასთან მოაწყოს საქართველოში დამშეულთა დამხმარე სპეციალური კომისია.

6. პრინციპიალური საკითხები, საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დობისძიებანი და კომიტეტის მუშაობის პროცესში წარმოშობილი რამ გაუგებრობა საბჭოთა დაწესებულებებთან გარჩეულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს საბჭოთა რუსეთის დამშეულთა დამხმარე კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ; ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებანი აღნიშნულ საკითხების გამო სავალდებულოა ღრეულებისათვის.

კომიტეტი მუშაობას ერთი კვირის განმავლობაში უნდა შეუდგეს.

8. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ. კვირკველია.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1922 წ. თებერვლის 15.

ტფილისი—სასახლე.

### საქართველოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტში.

საქართველოს დამშეულთა კომიტეტმა თებერვლის სხდომაზე დაადგინა:

1. მოეწყოს ამ დღეებში მთელს რესპუბლიკაში საშდღეული, რაც იწარმოებს ყულაბებით ძოგროვებთ; არჩეულ იქმნა საშდღეულის მომწყობი კომისია.

კომიტეტმა დაადგინა, ყოველი ზომა იქნეს მიღებული, რათა დამშეულთა დახმარების საქმეში მიიღებინონ მონაწილეობა ეძლებულ მასსას.

# ახალი ამბები

— **„ბარრიკადი" რედაქციამ** მხიდო „ბარრიკადი"-ს მორიგი ნომერი (№ 7). გაზეთი საინტერესოდ არის შედგენილი და მოთავსებულია შიგ ლექსები: ვ. გაფრინდაშვილის, ნ. მიწიშვილის, ქ. ნადირაძის, ს. ყანჩელის, შ. აფხაიძე, შ. კარმელსა და სხ. წერილები: ს. ცირეკიძისა და შ. კარმელის ფელეტონი: გრ. რობაქიძის: „ოსვალდ შპენგლერი".

— **ახალ მწერლობის კავშირი ქუთაისში:** ქუთაისში დაარსდა ახალ მწერლობის კავშირი იმ პრინციპზე, როგორც ტფილისში. კავშირის საბჭოს თავმჯდომარეა სანდრო ცირეკიძე.

— **ვალერიან გაფრინდაშვილის მოხსენება.** მორიგ კვირას ვალერიან გაფრინდაშვილი წაიკითხავს ხელოვანთა სასახლეში მოხსენებას შემდეგ თემაზე: „მეგრელები და დენდიზმი".

— **ახალი პანთეონი.** სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარმა კომიტეტმა სახალხო განათლების კომისარს წარუდგინა პროექტი ახალი პანთეონის დაარსებისა ვერაზე წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. მოხსენება ამ საკითხის შესახებ მიენდო ტიციან ტაბიძეს. სახალხო განათლების კომისარიატთან დაარსდა კომისია, რომ ეს დადგენილება სისრულეში მოიყვანოს.

— **სტუდიის წარმოდგენა.** კვირას 19 თებერვალს მეორე რაიონის მუშათა კლუბის თეატრში (ყოფილი „ტივოლი") კლუბთან არსებულ ქართულ დრამატიულ სტუდიის მიერ ვახტანგ გარრიკის რეჟისორობით და მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნება კ. გუცკოვის ტრაგედია „ურიელ აკოსტა"

—კვირას, თებერვლის 19-ს შუადღის 1-საათზე დანიშნულია ტფილისის სახალხო მომღერალ-მგალობელთა საერთო კრება ადგილობრივ კომიტეტის ამორჩევად. მისამართი: ოლღას ქ. № 3. სახლი მელიქ-აზარიანცისა, მიხა ცხაკაიას სახელობის კლუბი.

— **ფოთის ნავთსადგურში.** თებ. 15 ფოთის ნავთსადგურში მოვიდა რუსული გემი „იგნატი სერგეევი" ბათომიდან და იმავე დღესვე წავიდა სოხუმში. ინგლისის გემი „ვინოკონა" კონსტანტინეპოლში წავიდა. თებ. 16 მოვიდა ბათომიდან რუსული გემი „პესტელი" და საფრანგეთის „დიურო" იმავე დღეს წავიდა: „პესტელი"—ბათომში, „კრასნი კაზაკ."—სოხუმში და „კრასნი ვოდიკ"—ნოვოროსიისში, „ალიოშა ჯაფარიძე" და „კრომკა"—ოჩემჩირეში.

— **ბათომის ნავთსადგური.** გაღებულია 2 კლუბი, სტუდია, საბავშო ბაღი 25 ბავშვთათვის, 2 სამკითხველო, წერა-კითხვის სკოლა 40 კაცისთვის და პროფ. ტექნიკური კურსები 34 კაცთათვის.

— **უცხოეთის ვალიუტის კურსი.** სახალხო ბანკი ჰყიდის უცხოეთის ვალიუტას უშუამავლოდ მომხმარებელზე შემდეგი კურსით, რომელიც დაწესდა 16 თებერვალს: (ათასი მანეთით)

| | |
|---|---|
| სტერლინგი | 1300 |
| ოსმ. ქაღ. ლირა | 240 |
| დოლარი | 320 |
| მარკა გერმ. | 2,1 |

— **მოხსენება ი. გრიშაშვილის პოეზიაზე.** თებ. 16 ხელოვნების სასახლეში, ლიტერატურულ ხუთშაბათზე, ია. ვართაგავამ წაიკითხა მოხსენება „გრიშაშვილის პოეზია"-ზე. მოხსენება შინაარსიანი იყო. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ი. მჭედლიშვილმა, ობოლ მუშამ, მეჩონგურემ, ტ. ტაბიძემ, ეკალაძემ და სხ. აუდიტორია სავსე იყო ხალხით. ბევრი უადგილობის გამო უკან გაბრუნდა.

— **ბათომის ნავთსადგურში.** მოვიდა 9 თებერვალს რუსეთის გემი 5.000 ფუთით სხვა და სხვა საქონლით და 692 მგზავრით. 12 თებერვალს მოვიდა იტალიის გემი 450 ტონა საქონლით და 5 მგზავრით. 9 თებერვალს ნავთსადგურიდან გავიდა იტალიის გემი სტამბოლისაკენ 200 ტონი საქონლით და 15 მგზავრით. 12 თებერვალს ნავთსადგურში იდგა 77 იალქნიანი გემი.

— **უმაღლესი სასწავლებლის რეფორმა.** განათლების კომისარიატში მუშაობს კომისია უმაღლესი სასწავლებლის რეფორმისათვის.

— **ფოთის ნავთსადგურში.** ფოთის ნავთსადგურში გაიხსნა სამკითხველო, საბავშო ბაღი (25 ბავშვისათვის) და წერა-კითხვის სკოლა (15 კაცისათვის).

— **სოხუმის ნავთსადგურში.** სოხუმის ნავთსადგურში გაიხსნა საბავშო ბაღი (25 ბავშვისათვის) წერა-კითხვის სკოლა (10 კაცისათვის).

## პარტიაში

კვირას, თებერვლის 19-ს საღამოს 5 საათზე, „ტრიბუნის" რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის სხდომა. დასწრება სავალდებულოა.

## უცხოეთი

**პარიზი.** 6 თებ. ლონდონის კორესპონდენტი გაზეთ „ჟურნალში" ახასიათებს გენუას კონფერენციას და რუსეთის პოზიციის ხასიათს. იგი სვამს კითხვას—მიიღებს თუ არა რუსეთი კანის პირობებს და აღიარებს თუ არა იგი ვალების გადახდას. ამ კითხვაზე უპასუხებს, რომ რუსეთი დათანხმდება ვალების გადახდას, თუ ევროპის სახელმწიფონი აუნაზღაურებს მას სამოქალაქო ომის ზარალს.

## ქართველი მუსლიმანების სალიერი პრაქტიკა

(შემდეგი).

საკითხი მე-63. ვაკფის კანონი და პირობა მოითხოვს, რომ დავაკფული ქონება უნდა იყოს თვით დედანი (ნატურა). ასე რომ გასესხებული და ნაღდი ფულის დავაკფა, არაა კანონიერი.

მაგალითად: ვინმე პირმა, ვისმეზე გასესხებული ფული რაიმეს სასარგებლოდ რომ დაავაკფოს, და შემდეგ იგი მოვალესაგან რომ მიიღოს, შეუძლია ის ფული თავისუფლად თავის საკუთარ საქმეზე მოიხმაროს. რადგან ხსენებული ფულის დავაკფა არაა სწორი და კანონიერი. მაგრამ მოვალეს კი შეუძლია განთავისუფლოს ვალისაგან. მხოლოდ ესეც არის, რომ გასესხებული ფულის მიუღებლად და მოვალეს გაუნთავისუფლებლად დამვაკფელი ფულისა რომ იქნეს გარდაცვალებული, მიცვალებულის მემკვიდრეებს უფლება აქვთ ხსენებული ფული მოვალეს გადაახდევინონ და ურთიერთ შორის გასანაწილებელ სამკვიდრო ქონებაში შეიტანონ.

ამ რიგად, დავაკფული ფულის მზრუნველი, ვერ შეეცილება დამვაკფელის მემკვიდრეებს და ვერ იდავებს, რომ სთქვას, დავაკფული ფულის ვაკფის შედგენის აქტი იყო წესიერი და კანონიერიო.

და აგრეთვე რომელიმე პირის მიერ სხვაზე გასესხებული ფული, რაიმე კეთილ საქმეზე მოხმარებისათვის ანდერძის სახით რომ იქმნეს დავაკფული, ვაკფი სწორია და კანონიერი.

ასე ამ წესით ხსენებულმა პირმა, მოვალესაგან ასაღები ფულის მიუღებლად რომ გარდაიცვალოს, და თავისი ქონების მესამედი ნაანდერძევის დამაკმაყოფილებელი რომ დარჩეს სესხად გაცემული ფული თანახმად მისი ანდერძისა, იქნება ხსენებული საგნის სასარგებლოდ დავაკფული. და ვაკფი კი—სწორი და კანონიერი.

ამასთან ერთად ეყარ-ის *) შემოსავლის დავაკფა არაა სწორი, ვინაიდან დავაკფული საგანი უნდა იყოს თვით ნამდვილი, მასალა ნატურა. მაგალითად: ვინმემ, თავის საკუთრებაში მყოფი რაიმე ეყარ-ის საკუთრება ისევე თავის საკუთრებაში დასტოვოს და მხოლოდ შემოსავალი მისი, რაიმე კეთილი საქმეზე მოხმარებისათვის რომ დაავაკფოს, ვაკფი არ იქნება სწორი. მაგრამ ვინმე პირმა „ჩემი ეყარ-ის სარგებელი, სამარადისოდ ღარიბთა სასარგებლოდ დამივაკფია", რომ თქვას, თანახმად მისი მოთხოვნისა იგი ეყარ-ი არის უკვე მის მიერ ღარიბთა სასარგებლოდ დავაკფული.

საკითხი მე-64. დავაკფულ ქონებასთან, რითაც უნდა იყოს, ვისმეს დამოკიდებულებას, არა აქვს მნიშვნელობა.

ასე რომ ვინმე პირმა, გარეშე პირზე დაწინდარული, ანუ მიქირავებული რაიმე თავისი ეყარ-ი, რომ დაავაკფოს ვაკფი იქმნება სწორი და კანონიერი მაგრამ დამვაკფელი, ნაწინდარალის ვალის გასტუმრებლად რომ გარდაიცვალოს, ეს გარემოება კი იქმნება საზეში მიღებული.

დამვაკფელს, თუ ვალის გასასტუმრებელი სხვა რაიმე ქონება კიდევ აქვს იმ ქონებით მოვალე იქმნება გასტუმრებული და ხსენებული ეყარ-ი კი ისევე რჩება თავის დანიშნულებისამებრ დავაკფული. და თუ დამვაკფელს დავაკფული ქონების გარდა, ვალის გასასტუმრებელი სხვა რაიმე ქონება არ დარჩება, იმ შემთხვევაში დავაკფული ქონება გაიყიდება და ვალი გაისტუმრება.

საკითხი მე-65. დავაკფული ქონების დამოუკიდებლობა, არაა აუცილებელი, ასე რომ დავაკფული ქონება გინდ დამვაკფელისა და გინდ სხვისი ქონებით რომ იყოს დამოკიდებული, გარეული, მაინც დავაკფა მისი სწორია და კანონიერი. მაგალითად: რომელიმე პირმა, მუჯალლიანი თავისი სახლი ნივთეულისაგან განუწმენდავად რომ დაავაკფოს, ვაკფი სწორია და კანონიერი. აგრეთვე ვინმე პირმა თავის სახლში, სხვისი მუჯალლობა, ნივთები, რომ იყოს მოქცეული და ბინის ხსენებული ნივთებისაგან განთავისუფლებამდე აგრე იგი რომ იყოს დავაკფული, ვაკფი სწორია და კანონიერი.

საკითხი მე-66. საკაფო კანონები და პირობები მოითხოვს, რომ დავაკფული ქონება, უნდა იყოს საკუთარი ქონება. სხვისი ქონება, პატრონისაგან ნებართვის მიუღებლად რომ ვინმემ ძალად დაავაკფოს, ვაკფი არ იქმნება სწორი.

ქონების პატრონისაგან ნებართვის დაუკითხავად ვინმემ, რაიმე ქონებას ძალად რომ დაეპატრონოს და შემდეგ იგი რომ დაავაკფოს, ვაკფი მაინც არაა სწორი და კანონიერი.

მაგალითად: რომელიმე პირმა თავისი ნათესავის ქონება ძალად რომ დაავაკფოს და ნათესავიც, ხსენებულ ქონებაზე ნებართვის დაუკითხავად, რომ გარდაიცვალოს და ამ დროს ნათესავის მემკვიდრეობაც თვით დამვაკფელზე რომ გადავიდეს და აგრეთვე ვინმე მტაცებლის მიერ ნატაცი ქონების დავაკფვის შემდეგ და ქონების პატრონისაგან დასტურის მიღებაზე უმალ, ხსენებული ნატაცი ქონება რომ შეისყიდოს, ვაკფისა ძალად გაწესების გამო, მაინც არაა სწორი და კანონიერი.

ასე ამ წესით [illegible] იგი ვადიანი [illegible] და თავის [illegible] რაიმე [illegible] ვისმე პირმა, რაიმე აქველმოქმედო დაწესებულებათა სასარგებლოდ რომ დაავაკფოს, ვაკფი მაინც არაა სწორი და კანონიერი. და აგრეთვე მიცვალებულის ვალი, მის სიერ დატოვებულ ქონებაზე თუ მეტი გამოდგა, სამკვიდრო ქონების ღირებულება იქმნება თუმცა მემკვიდრეების მიერ მოვალეებზე გადაცემული, და ქონება განთავისუფლებული, მაგრამ ვაკფი კი მაინც არ იქმნება სწორი და კანონიერი.

ამასთან ერთად მოვალეებსაც შეუძლიათ განწესებული ვაკფი არ იცნონ და იგი შეიტანონ მათ სასარგებლოდ გასანაწილებელ მოვალეთა სიაში.

საკითხი მე-67. დასავაკფელი დედანის მასალის, ნატურის გამორიგებით, გამონაწილებით დავაკფა მისი არაა აუცილებელი და არც საერთო ქონებაში სხვების მონაწილეობა და არც შემდეგში აღმოჩენილი მემკვიდრეობაც, ვაკფის სისწორეს მაინც ვერ დაარღვევს.

მაგალითად: ვინმე პირმა, რამე ქონების ნახევარი, ანუ მეოთხედი რომ დაავაკფოს, ხსენებული ქონების გამოყოფა და გამონაწილება, გინდ იყოს შესაძლებელი და გინდ არა. ვაკფი მაინც იქნება სწორი და კანონიერი. აგრეთვე რომელიმე პირმა მთელი ეყარ-ი რომ დაავაკფოს და ხსენებული ეყარის, ქონების, რაიმე წილში მონაწილედ ვინმე კანონიერი მემკვიდრეს რომ აღმოჩნდეს, ხსენებულ ეყარში სასამართლოს მიერ აღნიშნულ მემკვიდრეს ნაწილის გარდა, ვაკფი ისევე რჩება სწორი და კანონიერი.

მხოლოდ მესჯიდსა (მეჩეთსა) და სასაფლაოსავით რაიმე შენობაში და ხიდებში თავისი წილის დავაკფა არაა სწორი. აგრეთვე დანაწილება ქონებისა გინდ იყოს შესაძლებელი გინდ არა, მაინც დავაკფა არაა სწორი.

საკითხი მე-68. დასავაკფავის განსაზღვრა და აღნიშვნა არის აუცილებელი ასე რომ ვინმე პირმა განუსაზღვრელად აღუნიშნელად „ჩემი ქონებიდან რაიმე დამივაკფია" ანუ „ჩემს ხილნარში ათი ხილის ხე დამივაკფია" და ან „ჩემი სასახლე მიწიდან ოცი არშინი ადგილი დამივაკფია" რომ სთქვას, ვაკფი არაა სწორი და კანონიერი. მაგრამ სხვებთან ერთად საზიარო ქონებიდან, აღუნიშნავად და განუსაზღვრავად თავისი წილი რომ დაავაკფოს, ვაკფი სწორია და კანონიერი.

საკითხი მე-69. დასავაკფელი ქონების მიწა-წყლის საზღვრების აღნიშვნა არაა მაინც და მაინც ვაკფის აქტის განმტკიცებისათვის აუცილებელი.. ასე რომ ვინმე პირმა ხელების აღნიშვნით, ანუ სიტყვიერად აღწერით ყველასაგან ცნობილი და შესწავლილი თავისი ქონება „ეყარ"-ი, საზღვრების აღუნიშნავად რომ დაავაკფოს, ვაკფი იქმნება სწორი და კანონიერი.

საკითხი მე-70. აუცილებლად ვაკფის აქტის შედგენა უნდა იყოს დამაკმაყოფილებელი. ასე რომ ვაკფის აქტის შედგენის დროს, არა არსებული და გამოურკვეველ რაიმე საგანთან დამოკიდებულებით შედგენილი ვაკფის აქტი, არ იქმნება სწორი და კანონიერი.

მაგალითად: ვინმე პირმა „უცხოეთში მყოფი ჩემი შვილის მოსვლას თუ მოვესწარი, ანუ სნეულობისაგან თუ განვიკურნე, ჩემი ესა და ეს ქონება იქმნეს დავაკფულიო" რომ სთქვას და ნატვრა მისი აღსრულდეს, ესე იგი შვილი მისი უცხოეთიდან რომ დაუბრუნდეს, ანუ თვითონ სნეულობისაგან რომ განიკურნოს, ვაკფი მაინც არაა სწორი.

მემედ აბაშიძე.

(შემდეგი იქნება)

*) სიტყვა ეყარ-ი გამოხატავს, ოჯახის თავშესაფარი ბინის გარდა, შემოსავლიან შენობას, ქონებას და სხვას.

## ჩვენი ფოსტა

ს. ყუბასეიშვილს. თქვენი წერილი „რუსთველი თუ რუსთაველი" არ დაიბეჭდება. მოგვაწოდეთ სხვა წერილები და კორესპონდენციები.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.